სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

24317969830825

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251658360

რეგისტრაციის თარიღი

04.12.2025 წ

ნოტარიუსი: ნანი ბარბაქაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ც.დადიანის ქუჩა N 22/24, I სად., II სართ., ბ. N4
ტელეფონი: 591706623

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის ოთხ დეკემბერს, მე, **ნოტარიუსს ნანი ბარბაქაძეს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ც.დადიანის ქუჩა N22/24, I სად., II სართ., ბ. N4, მომმართეს **ირაკლი ნატროშვილმა** და **ალექსანდრე ბუაჩიძემ,** როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211328703, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა ფშაველას გამზ., №33) წარმომადგენლებმა (რექტორი და კანცლერი), თანახმად ინფორმაციისა საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ, გაცემული შემოსავლების სამსახურის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი: 211328703. მათ განაცხადეს, რომ სურთ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, გასცენ მინდობილობა **კონსტანტინე გეგელიძის** სახელზე. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ირაკლი ნატროშვილმა** (დაბ. 13.08.1965წ. თბილისი პ/N01030010063 მისამართი: თბილისი ს. დიღომი რამაზის ქ. N 8ა, პირადობის მოწმობის სერია 24IB24601) და **ალექსანდრე ბუაჩიძემ** (დაბ. 24.01.1963წ. თბილისი პ/N01008001619 მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 26, პირადობის მოწმობის სერია 24IC12102) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში, უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. ასევე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **ირაკლი ნატროშვილმა** და **ალექსანდრე ბუაჩიძემ** წაიკითხეს მინდობილობა და განაცხადეს, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდახუთი წლის ოთხ დეკემბერს, ჩვენ, **ირაკლი ნატროშვილი** (დაბ. 13.08.1965წ. თბილისი პ/N01030010063 მისამართი: თბილისი ს. დიღომი რამაზის ქ. N 8ა, პირადობის მოწმობის სერია 24IB24601) და **ალექსანდრე ბუაჩიძე** (დაბ. 24.01.1963წ. თბილისი პ/N01008001619 მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 26, პირადობის მოწმობის სერია 24IC12102), როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211328703, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა ფშაველას გამზ., №33) **წარმომადგენლები** (რექტორი და კანცლერი), თანახმად ინფორმაციისა საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ, გაცემული შემოსავლების სამსახურის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი: 211328703, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებთ **კონსტანტინე გეგელიძეს** (დაბ. 29.10.1962წ. თბილისი პ/N01018001308 რეგისტრირებული: თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 9 ბ. 2), რომ იყოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, მერიაში და მის ნებისმიერ სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, გამწვანების სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, სატრანსპორტო სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ კომუნალურ სამსახურში, რათა შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი/ინფორმაცია, თავის შეხედულებისამებრ გაყოს/გამიჯნოს, გააერთიანოს უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, შემდეგ დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, უძრავ ქონებებზე მიიღოს პროექტები/დოკუმენტაცია (ასევე გაყოფის/გამიჯვნის, გაერთიანების შემდეგ), მათ შორის მშენებლობის, მიშენების, დაშენების ან/და დემონტაჟთან, პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, ასევე მიიღოს პროექტის ცვლილების, კორექტირების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ბრძანება, მშენებლობასთან, მიშენებასთან, დაშენებასთან, დემონტაჟთან ან/და პროექტის კორექტირებასთან, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (აზომვითი ნახაზი, შეთანხმება, ნებართვა, ბრძანება და სხვა), გადაავადოს პროექტის ვადები, მოითხოვოს საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ტექნიკური ხარვეზის ჩასწორება/შესწორება და ცვლილების რეგისტრაცია, მოითხოვოს ფართის დაზუსტება, წითელი ხაზების კორექტირება, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვის პროცესში, აწარმოოს უძრავ ქონებებში წყლის, გაზის და

ელექტროენერგიის შეყვანა და გამრიცხველიანება, მოახდინოს საკანალიზაციო ქსელის (წყალსანიტარების სისტემის) გაყვანა/შეცვლა, აწარმოოს მიმდინარე სარემონტო სამუშაოები თავის შეხედულებისამებრ.

იგი ასევე უფლებამოსილია გასცეს იჯარით უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება ან/და მოძრავი ქონება, შესაბამისად, დადოს იჯარის ხელშეკრულება, მასში ნებისმიერი სახის ცვლილებების შეტანისა და გაუქმების უფლებით, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იგი უფლებამოსილია შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და ინფორმაცია, განსაზღვროს ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები თავის შეხედულებისამებრ, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ის მოქმედებები, რაც საჭირო გახდება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ **არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.**

მინდობილობა ძალაშია 2027 (ორიათას ოცდაშვიდი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია **3 (სამი)** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში და თან ერთვის ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ, გაცემული შემოსავლების სამსახურის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი: 211328703.

,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაური - 30.00 (ოცდაათი) ლარი + 34.2. მუხლის შესაბამისად – 35.00 (ოცდათხუთმეტი) ლარი + 39-ე მუხლის თანახმად ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 (ხუთი) ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად 11.70 (თერთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი. სანოტარო მოქმედება შესრულებულია სანოტარო ბიუროს გარეთ, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

სსიპ თსსუ-ს რექტორი ირაკლი ნატროშვილი _____

სსიპ თსსუ-ს კანცლერი ალექსანდრე ბუაჩიძე _____

ნოტარიუსი ნანი ბარბაქაძე